

ბანმარტეპითი ბარათი

ორგანული კანონის პროექტზე „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და კანონპროექტზე „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

„ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ითქმის ყველა რაიონსა და ქალაქში მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელები (მერები) ირჩევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, ქალაქის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. ამ წესიდან გამოსაკლისს წარმოადგენს ქალაქ თბილისისა და ფოთის მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელების თანამდებობაზე დანიშვნა. მათ თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. გარდა ამისა, აღნიშნული თანამდებობის პირები თავიანთ უფლებამოსილებას იხსნიან და ანგარიშვალდებული არიან საქართველოს პრეზიდენტის წინაშე. აღნიშნული წესი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტს, რომლის თანახმადაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა თანამდებობი არსეკითია. გარდა ამისა, ეს წესი ეწინააღმდეგება აგრეთვე საქართველოში რეალური თვითმმართველობისა და მმართველობის პრინციპების დამკვიდრებას და ხელს უშლის აღნიშნული ორგანული კანონის მიზნებისა და ამოცანების ეფექტურად განხორციელებას.

წარმოდგენილი კანონპროექტების მიღების შემთხვევაში ქალაქებისა და რაიონების გამგებლების/მერების თანამდებობები გახდება არსეკითი. კერძოდ, აღნიშნული ქალაქების (რაიონების) მერების/გამგებლების არჩევა მოხდება ქალაქის საკრებულოების მიერ, ამ საკრებულოთა უფლებამოსილების ვადით. შესაბამისად, ეს თანამდებობის პირები (მერები) ანგარიშვალდებულნი იქნებიან მხოლოდ ამომრჩეველებისა და თვითმმართველობითი ორგანოების წინაშე. წინამდებარე ცვლილებებით, საკრებულოებს როგორც მოსახლეობის წარმომადგენლობით ორგანოებს მიეცემათ რეალური ბერკეტები უფრო ეფექტურად გააკონტროლონ ადგილობრივი მთავრობის საქმიანობა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კორექტივები შეიტანოს მასში. აღნიშნული კანონპროექტების მიღების შემთხვევაში, სახელმწიფოში დამკვიდრდება მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელების თანამდებობაზე არჩევის უფრო დემოკრატიული და განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული წესი.

აღნიშნული კანონპროექტები არ საჭიროებს დამატებითი თანხების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

კანონპროექტების ავტორი და ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი ბოკერია.